| <p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p> | <p>რეაბილიტირდება წყლის სათავე ნაგებობები და წყალმომარაგების ქსელები, მოეწყობა ახალი ჭაბურღილები, გაიზრდება წყლის დებიტი და გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს დაახლოებით 30 000 მოსახლე. გაუმჯობესდება წყალმომარაგება მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის</p>  |

| კოდი  | ქვეპროგრამის დასახელება  | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | 2021 წლის დაფინანსება |
|---|--|-------------------------------------|-----------------------|
|   |  |                                     | ათას ლარში            |
| 02 02 02  |  |                                     | 2290,0                |
| <p><b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p>  | <p><b>ა(ა)ბ - გურჯაანის მუნიციპალური სერვისი</b></p>   |                                     |                       |
| <p><b>ქვეპროგრამის აღწერა</b></p>                       | <p>პროგრამა ითვალისწინებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მომსახურებას, დაზიანებების აღმოფხვრას, მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში წყლის ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შექმნას. პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები : - მწყობრიდან გამოსული მილების შეკეთება და ახლით ჩანაცვლება. საჭიროების მიხედვით წყლის ტუმბოების და ტუმბოს ძრავების შექმნა და მონტაჟი. პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 8 საათიანი მიწოდება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;</li> <li>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 1 ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია და განვითარება. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია და საკუთარი შემოსულობები. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი მომსახურების ნაწილში არის მუდმივმოქმედი პროგრამა.</p> |                                     |                       |
| <p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p> | <p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი;</p> <p>წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.</p>  |                                     |                       |

| კოდი  | პროგრამის დასახელება   | გარე განათება | 2021 წლის დაფინანსება |
|---|--|---------------|-----------------------|
|   |  |               | ათას ლარში            |
| 02 03   |  |               | 1023,6                |
| <p><b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b></p> | <p>გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.</p> |               |                       |



|  |  |
|--|--|
| <p><b>პროგრამის აღწერა</b></p>                       | <p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდომარეობით გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. გურჯაანში და 23 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 52 %. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტ განათებისა და ელექტრო გაყვანილობის ბოძს, 14800-ზე მეტ სანათ წერტილს, 23500 ვრდივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 600.0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: 1. გარე განათების ქსელის მოწყობა, ელ. ენერჯია, 2. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია - კაპიტალური დაზანდებები გარე განათების მოწყობა.</p> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გამუჯობებსების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2021 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p> |
| <p><b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p> | <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა.</p>   |

|  |                                |  |   |
|--|--------------------------------|--|---|
| <p>კოდი</p> <p>02 03 01</p>                      | <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>გარე განათების ქსელის მოწყობა ელ.ენერჯია</p>  | <p>2021 წლის დაფინანსება</p> <p>ათას ლარში</p> <p>878,6</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>  |                                | <p>გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.</p>   |   |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა</p>                       |                                | <p>დასახლებული პუნქტების გარე განათების ელ. ენერჯიის მომსახურების ღირებულება</p>   |   |
| <p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p> |                                | <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის შეუფრხებელი ფუნქციონირება.</p>  |   |
| <p>კოდი</p> <p>02 03 02</p>                      |                                | <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> <p>გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია</p>   | <p>2021 წლის დაფინანსება</p> <p>ათას ლარში</p> <p>145,0</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>  |                                | <p>ა(ა)იპ - გურჯაანის მუნიციპალური სერვისი</p>   |   |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა</p>                       |                                | <p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდომარეობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის მთლიან ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში) 20000 ათასამდე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს, ამისთვის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. მიმდინარე წელს მოხდა დროის რეგულირება და ეკო ნათურების დამონტაჟება რამაც საგრძნობი ეკონომია მოგვცა ელ.ენერჯიის გადასახადებში.</li> </ul> <p>პროგრამა არ მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას, განათების ბოძების ჩაყრას და დაზიანებული ბოძების შეცვლას.</p> <p>პროგრამა მოიცავს აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებას.</p> |   |



|   |  |
|---|--|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის ფუნქციონირება გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად. |
|---|--|

| კოდი  | პროგრამის დასახელება | შენიშვნების მშენებლობა რეაბილიტაცია-დემონტაჟი   | 2021 წლის დაფინანსება |
|---|----------------------|---|-----------------------|
|   |                      |   | ათას ლარში            |
| 02 04   |                      |   | 274,0                 |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                      | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.   |                       |
| <b>პროგრამის აღწერა</b>                       |                      | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია; და მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციისათვის ამხანაგობების დაფინანსება. |                       |
| <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                      | ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.  |                       |

| კოდი   | ქვეპროგრამის დასახელება | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია  | 2021 წლის დაფინანსება |
|--|-------------------------|--|-----------------------|
|  |                         |  | ათას ლარში            |
| 02 04 01   |                         |  | 224,0                 |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                         | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.  |                       |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                       |                         | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით შენობა ნაწილობრივ რეაბილიტირებულია და ცენტრალური გათბობა მოწყობილია მხოლოდ ერთ სართულზე, რაც შეეხება ფასადს საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. 2021წელს ადგილობრივ ბიუჯეტით იგეგმება ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. ცენტრალური გათბობის მოწყობა სრულად, ასევე ფასადის რეაბილიტაცია. სოფ მუკუზანში ბალანსზე არსებული შენობის რეაბილიტაცია და ეზოს მოწყობა (განთავსებულია ამბულატორია) მ თანხის გადახდა მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით. |                       |
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                         | რეაბილიტირებული იქნება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობა, რომელიც მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის იერსახეს.   |                       |

| კოდი  | ქვეპროგრამის დასახელება | მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციისათვის ამხანაგობების თანადაფინანსება   | 2021 წლის დაფინანსება |
|---|-------------------------|---|-----------------------|
|   |                         |   | ათას ლარში            |
| 02 04 02  |                         |   | 50,0                  |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b> |                         | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.   |                       |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                      |                         | ქალაქში არსებული საერთო საცხოვრებელი სახლებს სჭირდება ფასადური რეაბილიტაცია და სახურავების რემონტი, იმის გამო რომ მოსახლეობას უჭირს ამ სამუშაოების დაფინანსება მუნიციპალიტეტი ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის გეგმავს პროგრამის ფარგლებში |                       |





განხორციელდეს მრავალბინიანი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოების შესასრულებლად ამხანაგობების თანადაფინანსება.

|  |   |
|--|---|
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | რეაბილიტირდება მრავალბინიანი კორპუსების სახურავები, სადარბაზოები და ფასადები. ისარგებლებს დაახლოებით 2 000 ბენეფიციარს. |
|--|---|

| კოდი  | პროგრამის დასახელება | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერები, სპორტული მოედნები)  | 2021 წლის დაფინანსება |  |
|---|----------------------|---|-----------------------|--|
|   |                      |   | ათას ლარში            |  |
| 02 05   |                      |   | 965,9                 |  |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                      | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.   |                       |  |
| <b>პროგრამის აღწერა</b>                       |                      | პროგრამით ფინანსდება სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. აღნიშნული ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინისპორტული მოედნის მოწყობას რომელიც ერთ ერთი პირობა იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ჯანსაღი წესით ცხოვრებისა. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასვენების, გართობისა და სპორტულ აქტივობებში ჩასართავად. სახ.ბიუჯეტით დაფინანსდა გურჯაანის ორი მინიმოდის დასრულების სამუშაოები, კარდენახის სპორტული დარბაზი, ჯიმიტში მინი სპორტული მოედანი და ახაშნის სკვერისა და სპორტული მოედნის სამუშაოები. 2021წელსადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდება და მოეწყობა სოფ არაშენდისა და ბაკურციხის მინისპორტული მოედნები |                       |  |
| <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                      | შეიქმნება გარემო მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვრებისათვის  |                       |  |

| კოდი  | პროგრამის დასახელება | საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები  | 2021 წლის დაფინანსება |  |
|---|----------------------|--|-----------------------|--|
|   |                      |  | ათას ლარში            |  |
| 02 06   |                      |  | 181,0                 |  |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                      | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.  |                       |  |
| <b>პროგრამის აღწერა</b>                       |                      | პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია, რათა დაცული იყოს მოსახლეობა უხვი ნალექების პირობებში ეზოების დატბორვისგან და კომფორტულს გახდის აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილებასა. მოხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა გამტარიანობის გაუმჯობესება პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში კაჭრეთი, ველისციხე, ვეჯინი და სხვა კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია-აღდგენა. |                       |  |
| <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                      | შეიქმნება უსაფრთხო და კომფორტული გარემო, არ მოხდეს მოსახლეობის ეზოებისა და საცხოვრებელი სახლების დატბორვა  |                       |  |

| კოდი                               | პროგრამის დასახელება | სოფლის პროგრამა   | 2021 წლის დაფინანსება |  |
|------------------------------------|----------------------|---|-----------------------|--|
|                                    |                      |   | ათას ლარში            |  |
| 02 08                              |                      |   | 570,0                 |  |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი</b> |                      | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური. |                       |  |



|  |   |
|--|---|
| სამსახური                              |   |
| პროგრამის აღწერა                       | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოფლის მხარდაჭერისთვის სახ ბიუჯეტიდან გამოყოფილი 520,0ათ ლარი, წინა წელს მორჩენილი ნაშთი 24,0 და ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამუშაოების შევსება 26,0ათ ლარით სოფ. კარდენახში. სოფ. ვეჯინსა და ფხოველში მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული პრობლემების აღმოფხვრისათვის სამუშაოების დაფინანსება, სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილების მიხედვით შეიძლება პროექტები და დაფინანსდება. |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სოფლის მოსახლეობის კმაყოფილება  |

| კოდი                                   | პროგრამის დასახელება  | თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების მიწის პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება | 2021 წლის დაფინანსება |
|--|---|---|-----------------------|
|  |   |   | ათას ლარში            |
| 02 09                                  |   |   | 10.0                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.   |   |                       |
| პროგრამის აღწერა                       | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანზე არსებული ქონების მ.შ მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზებისა და პასპორტირების შესყიდვას. ამასთან, აღნიშნული პროგრამიდან ფინანსდება საპრივატიზაციო ქონების შეფასების აუდიტორული მომსახურება. პროგრამის მიზანია არწერილი და შეფასებული იქნას მუნიციპალური ქონება კანონის შესაბამისად. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტით. |   |                       |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | აიზომება, დაიხაზება და შეფასდება მუნიციპალური ქონება  |   |                       |

#### მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1370,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება  | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი |
|-----------------|---|-----------|-----------|-----------|-----------|
|                 |   | სულ       | სულ       | სულ       | სულ       |
| 03 00           | სულ: დასუფთავება და გარემოს დაცვა                             | 1370,0    | 1550,0    | 1650,0    | 1700,0    |
| 03 01           | დასუფთავება და ნარჩენების გატანა                              | 1178,0    | 1200,0    | 1250,0    | 1300,0    |
| 03 02           | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში                   | 6,0       | 100,0     | 100,0     | 100,0     |
| 03 03           | სასაფლაოების, მწვანე ნარგავებისა და სკვერების მოვლა პატრონობა | 186,0     | 250,0     | 300,0     | 300,0     |

|      |  |                       |
|------|--|-----------------------|
| კოდი |  | 2021 წლის დაფინანსება |
|------|--|-----------------------|



|  |                      |  |            |
|--|----------------------|--|------------|
|  | პროგრამის დასახელება | დასუფთავება და ნარჩენების გატანას  | ათას ლარში |
| 03 01                                  |                      |  | 1178,0     |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  |                      | ა(ა)იპ გურჯაანის დასუფთავების სამსახური  |            |
| პროგრამის აღწერა                       |                      | გურჯაანის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. შექმნილია ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები. ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება ნაგვის გამზიდი მანქანები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე. შეგროვებული ნარჩენები გადის ნაგავსაყრელებზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. |            |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი |                      | მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქ. გურჯაანის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. იქნება ეკოლოგიურად უჯანსაღი გარემო.   |            |

| კოდი                                     | ქვეპროგრამის დასახელება | სასაფლაოების, სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება  | 2021 წლის დაფინანსება |
|--|-------------------------|--|-----------------------|
|  |                         |  | ათას ლარში            |
| 03 03                                    |                         |  | 186,6                 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური |                         | ა(ა)იპ გურჯაანის დასუფთავების სამსახური  |                       |
| პროგრამის აღწერა                         |                         | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების დაცვა, მოვლის ღონისძიებები, რომელსაც ა(ა)იპ გურჯაანის დასუფთავების შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს:</p> <p>განყოფილება ახდენს არსებული სკვერების გაწმენდა დასუფთავებას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასებიც.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ გურჯაანის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 44 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების გაწმენდა, გასუფთავება, მოცელვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულებას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასებიც.</p> |                       |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი   |                         | ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეკვითი სამუშაოები.  |                       |

### მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3382,9 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება | რიცხოვნობა | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024წელი |
|-----------------|------------|------------|-----------|-----------|-----------|----------|
|                 |            |            |           |           |           |          |



|       |  |     |        |        |        |        |
|-------|--|-----|--------|--------|--------|--------|
| 04 00 | განათლება                                |     | 3779,2 | 3421.0 | 4431.0 | 4441.0 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 557 | 2947,0 | 3251.0 | 4251.0 | 4251.0 |
| 04 02 | საჯარო სკოლების დაფინანსება              |     | 566,1  |        |        |        |
| 04 03 | ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი       | 16  | 50,0   | 60.0   | 70.0   | 80.0   |
| 04 05 | ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია          |     | 216,9  | 100,0  | 100,0  | 100,0  |

| კოდი                                   | პროგრამის დასახელება | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება  | 2021 წლის დაფინანსება |  |
|--|----------------------|---|-----------------------|--|
|  |                      |   | ათას ლარში            |  |
| 04 01                                  |                      |   | 2947,0                |  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  |                      | ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება   |                       |  |
| პროგრამის აღწერა                       |                      | <p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 37 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2000-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 118 ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“;</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში და გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობებისა და სახელფასო ანაზღაურების გაუმჯობესება.</p> |                       |  |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი |                      | შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები.  |                       |  |

| კოდი  | პროგრამის დასახელება | საჯარო სკოლების დაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება |  |
|-------|----------------------|-----------------------------|-----------------------|--|
|       |                      |                             | ათას ლარში            |  |
| 04 02 |                      |                             | 566,1                 |  |



|   |  |
|---|--|
| <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური   |
| <b>პროგრამის აღწერა</b>                       | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დელეგირებული უფლება მოვალეობის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. რაც უზრუნველყოფს მოზარდთა სუფთა და კომფორტულ გარემოში ყოფნას. ასევე პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები. |
| <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | მოსწავლეთა კომფორტულ გარემოში ყოფნა და კმაყოფილი მოსახლეობა.   |

| კოდი  | პროგრამის დასახელება  | ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცენტრი | 2021 წლის დაფინანსება |
|---|---|--|-----------------------|
|   |   |  | ათას ლარში            |
| 04 03   |   |  | 50,0                  |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  | ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცენტრი  |  |                       |
| <b>პროგრამის აღწერა</b>                       | პროგრამის მიზანია მოსწავლეების პროფესიული დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში ჩართულობა, ასევე ხელშეწყობა მოსწავლეთა გონივრული დასვენებისა და თავისუფალი დროის სწორად გამოყენებისათვის.   |  |                       |
| <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | მოსწავლეთა პიროვნული და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. აუმაღლდეს აზროვნება, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარ-ჩვევები, შეექმნას და გაუმყარდეს საფუძველი პროფესიის არჩევის, დაოსტატებისა და საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში აქტიურად ჩართვისათვის. |  |                       |

| კოდი  | პროგრამის დასახელება   | ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია | 2021 წლის დაფინანსება |
|---|--|---------------------------------|-----------------------|
|   |  |                                 | ათას ლარში            |
| 04 05   |  |                                 | 216,9                 |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური   |                                 |                       |
| <b>პროგრამის აღწერა</b>                       | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, რომელსაც ძირითადად აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. 2021წელს ექსპლუატაციაში შევიდა სოფ. გურჯაანის საბავშვო ბაღი. სამუშაოები უზრუნველყოფს მოზარდთა სუფთა და კომფორტულ გარემოში ყოფნას. ადგილობრივი ბიუჯეტით შესყიდული იქნება საბავშვო ბაღების სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები, შემდგომ სამუშაოების ჩასატარებლად, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოზარდთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას. |                                 |                       |
| <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | სკოლამდელი აღსაზრდელების კომფორტულ გარემოში ყოფნა და კმაყოფილი მოსახლეობა.   |                                 |                       |

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი



წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

| პროგრამული კოდი | დასახელება  | რიცხოვნობა | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024წელი |
|-----------------|---|------------|-----------|-----------|-----------|----------|
|                 |   |            |           |           |           |          |
| 05 00           | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი                   |            | 2377,9    | 2471,9    | 2471,9    | 2471,9   |
| 05 01           | სპორტის განვითარების ხელშეწყობა                   |            | 687,0     | 706,9     | 706,9     | 706,9    |
| 05 01 01        | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა                | 91         | 642,0     | 656,9     | 656,9     | 656,9    |
| 05 01 02        | სპორტული ღონისძიებები                             |            | 45,0      | 50,0      | 50,0      | 50,0     |
| 05 02           | კულტურის განვითარების ხელშეწყობა                  |            | 1499,1    | 1500,0    | 1500,0    | 1500,0   |
| 05 02 01        | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა        | 284        | 1413,5    | 1350,0    | 1350,0    | 1350,0   |
| 05 02 02        | კულტურის ღონისძიებები                             |            | 85,6      | 150,0     | 150,0     | 150,0    |
| 05 03           | ახალგაზრდობის მხარდაჭერა                          |            | 126,8     | 200,0     | 200,0     | 200,0    |
| 05 05           | ტელე რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა |            | 65,0      | 65,0      | 65,0      | 65,0     |

| კოდი   | ქვეპროგრამის დასახელება | სპორტის სფეროს განვითარება  | 2021 წლის დაფინანსება |
|--|-------------------------|---|-----------------------|
|  |                         |   | ათას ლარში            |
| 05 01 01   |                         |   | 642,0                 |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                         | ააიპ გურჯაანის სპორტული გაერთიანება   |                       |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                       |                         | ააიპ გურჯაანის სპორტული გაერთიანება აერთიანებს სპორტის 15 სახეობას, ესენია: ჭადრაკი- 70 მოსწავლე, კარატე- 61, ფრენბურთი-35, ფეხბურთი-163, ბადმიგთონი -16, კრივი-63, კალათბურთი-25 ,მკლავჭიდი- 17 კიკბოქსინგი-15 ძიუდო-85, თ5. ჭიდაობა-40, ძალოსნობა-13, ჭიდაობა-20, ცურვა-30, რაგბი-25 სულ-678 მოსწავლე. რომელთაც საწვრთნელო მუშაობა უტარდებათ კვირაში 2-3 ჯერ. ახალგაზრდების მოთხოვნის მიხედვით ამ პერიოდისთვის ემატება კიდევ რაგბის მწვრთნელები და დაემატება კიდევ ერთი წრე. სპორტულ გაერთიანებაში მუშაობს 78 თანამშრომელი აქედან 35 მწვრთნელ -მასწავლებელია , ხოლო 43 -ადმინისტრაცია-ტექ.პერსონალი. სპორტული გაერთიანების მოსწავლეები აწყობენ სპორტულ შეკრებებს და მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში , როგორც ქვეყნის მასშტაბით ისე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას . მეტი ახალგაზრდისა, როგორც ბიჭების ასევე გოგონების ჩაბმას სპორტში, მუნიციპალიტეტის წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. |                       |
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                         | რაც შეიძლება მეტი მოსწავლე-ახალგაზრდების ჩაბმა სპორტში, სპორტული დაოსტატება და ჯანსაღი წესის დამკვიდრება.   |                       |



| კოდი                                      | ქვეპროგრამის დასახელება | სპორტული ღონისძიებები   | 2021 წლის დაფინანსება |
|---|-------------------------|---|-----------------------|
|   |                         |   | ათას ლარში            |
| 05 01 02                                  |                         |   | 45                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური  |                         | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.   |                       |
| ქვეპროგრამის აღწერა                       |                         | <p>პროგრამის მიზანია, ხელი შევუწყოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტული ცხოვრების დონის ამაღლებასა და სპორტში ჩართულობის გაზრდას, მათ შორის ინტეგრირებული და ექსტრემალური სპორტის მხარდაჭერასა და განვითარებას.</p> <p>საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით, სპორტით ძირითადად 6-18 წლამდე მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან დაკავებულები, თუმცა სპორტის 4 სახეობაში (ფრენბურთი, ჭადრაკი, ცურვა, ბადმინტონი) მდედრობითი სქესის პროცენტული წილი თითქმის 50%-ს შეადგენს, ხოლო შშმ პირებისთვის არახელსაყრელი ინფრასტრუქტურის გამო, დაინტერესების მიუხედავად ისინი ვერ ახერხებენ სპორტით აქტიურად დაკავდნენ. აღნიშნული მდგომარეობა ჩვენი აზრით შეიძლება ერთის მხრივ გამოწვეული იყოს, როგორც იმ სპორტის სახეობების სიმრავლით, რომლითაც ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები ინტერესდებიან და მეორეს მხრივ, მდედრობითი სქესის მწვრთნელების არ არსებობით. ამასთან, ასაკობრივ ნიშნულსაც თუ გავითვალისწინებთ, აღმოვაჩინებთ, რომ ძირითადად მოზარდი თაობაა მუნიციპალიტეტში სპორტით დაკავებული, ჩვენი პროგრამა კი მოიცავს სპორტული ცხოვრების დონის ამაღლებას ნებისმიერი ასაკის და ნებისმიერი სქესის წარმომადგენლისთვის. არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით, ვფიქრობთ, ვაწარმოოთ როგორც სათანადო კამპანია, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსის მივმართოთ სიახლეების დანერგვისა და არსებული მდგომარეობის გამოსწორებისკენ.</p> <p>ამიტომ, პროგრამა ისეთ ღონისძიებებს სადაც ჩართული იქნება ყველა ასაკისა და სქესის მოქალაქე.</p> |                       |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი |                         | მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტული ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა.  |                       |

| კოდი                                     | ქვეპროგრამის დასახელება | კულტურის ღონისძიებები   | 2021 წლის დაფინანსება |
|--|-------------------------|---|-----------------------|
|  |                         |   | ათას ლარში            |
| 05 02 01                                 |                         |   | 85,6                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური |                         | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.   |                       |
| ქვეპროგრამის აღწერა                      |                         | <ol style="list-style-type: none"> <li><b>ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება</b> - ქალაქ გურჯაანის ქუჩებში შემხვედრ და სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმებულ ქალბატონებს, 8 მარტის ყვავილებით მილოცვა</li> <li><b>მემორიალზე 1989 წლის 9 აპრილის გარდაცვლილთა ხსოვნის პატივის მიცემა</b> - 9 აპრილს გარდაცვლილთა ხსოვნის პატივის მისაგებად მემორიალს შეამკობენ სამგლოვიარო გვირგვინით და ტიტუბით.</li> <li><b>ეროვნული სამოსის დღის აღნიშვნა</b> - ქალაქ გურჯაანს ქუჩებში მოეწყობა ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მონაწილეების მსვლელობა -ფლემზობა, გაიმართება მე-19 საუკუნისთვის დამახასიათებელ იმპროვიზირებულ სცენები(კინო-ფილმიდან „ქეთო და კოტე“-).</li> <li><b>საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა</b>- გურჯაანის მუნიციპალიტეტის საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ა(ა)იპ -ბი გაიმართება გურჯაანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ქორეოგრაფიული ანსამბლის „გურჯაანი“ მიერ. 15 მაისამდე დამონტაჟდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით 15 საიმიჯო ბანერი „გურჯაანს ეამაყება...“ წარმატებული გურჯაანელების ფოტოებით, გაიჭიმება ორი გადასაჭიმი ბანერი წარწერით „გურჯაანი 87 წლისაა...“ და „გილოცავთ 26 მაისს...“ ქართული კალიგრაფიის კამპანიის ფარგლებში გაიმართება „ქართული ხელრთვა“ ნამუშევრების გამოფენა, ასევე გაიმართება სამეწარმეო გამოფენა. გურჯაანის დიდების</li> </ol> |                       |



|   |   |
|---|---|
|   | <p>საბრძოლო მემორიალის კედელზე თავისუფლების დამონტაჟდება 13 ცნობილი ციტატა ლედ განათებით. ქ. გურჯაანში დამონტაჟდება 7მ ზომის საქართველოს დროშა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება ქართული ხალხური თამაშობები დამონტაჟდება ოთხი სხვადასხვა პანელი სადაც განთავსდებიან მსახიობები რომელებიც განასახიერებენ მარო მაყაშვილს, კოტე აფხაზს, ჯონ მალხაზ შალიკაშვილს და გიორგი კვინიტაძეს. სტუმრებს შემოუძღვებიან ბერიკები. ღონისძიებას დაასრულებს კონცერტი.</p> <p>5. <b>ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა</b>- ღონისძიების ფარგლებში იქნება ბარაბან შოუ, მოეწყობა ზღაპრის გმირების თეატრალური მსვლელობა, გაიმართება თამაშობები, თოჯინების თეატრი დარიგდება ჰელიუმის ბუმბულები და საბავშვო ბრენდირებული პირბადეები. დღის ბოლოს გაიმართება საბავშვო კონცერტი.</p> <p>6. <b>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 2008 წელის და აფხაზეთის ომში (1992-1993) მებრძოლი დაღუპული ქართველების ხსოვნის პატივისცემა და მემორიალური დაფების გახსნა</b> -სოფლებში(ქ.გურჯაანი,სოფ .გურჯაანი, სოფ. ჩუმლაყი, სოფ.კაჭრეთი, სოფ. ზემო კაჭრეთი, სოფ.ვაზისუბანი, სოფ.ვეჯინი სოფ.მელაანი, სოფ.ველისციხე სოფ ვაჩნაძიანი) დამონტაჟდება მემორიალური დაფები</p> <p>7. <b>მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი</b> - ფესტივალის ფარგლებში გაიმართება კონფერენცია თანამედროვე მეცნიერების შესახებ, გაიმართება მეცნიერების შოუ, გამოფენები და ღონისძიების ბოლოს გაიმართება კონცერტი.</p> |
| <p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p> | <p>გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ მივაღწევთ ჩვენს მიერ დასახულ მიზანს, რომ გურჯაანის ნიშა გახდეს როგორც მეღვინეობის, ასევე საფესტივალო ქალაქი და შესაბამისად, მოხდეს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია სწორედ კულტურული ღონისძიებების გამართვის შედეგად, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურისტული ნაკადების გაძლიერებასა და ეკონომიკურ სიძლიერეს.</p>   |

| კოდი   | ქვეპროგრამის დასახელება   | ა(ა)იპ გურჯაანის სამხატვრო სკოლა | 2021 წლის დაფინანსება |      |
|--|---|----------------------------------|-----------------------|------|
|  |   |                                  | ათას ლარში            |      |
| 05 02 01 01                                      |   |                                  |                       | 40.0 |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |   | ა(ა)იპ გურჯაანის სამხატვრო სკოლა |                       |      |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                       | სამხატვრო სკოლაში 2021 წლის მდგომარეობით ხატვასა და ფერწერაში სიით ირიცხება 121 მოსწავლე, მაგრამ არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, დასწრება არის ძალიან მცირე. არიან სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები, ამ ბავშვებისთვის დაფინანსება ხდება ბიუჯეტით. მოსწავლეები დაინტერესებული არიან ხატვის ხელოვნებით, განსაკუთრებულ სურვილს გამოთქვამენ გამოყენებითი ხელოვნების(ქსოვა, ქარგვა, გობელინი, ხეში კვეთა) მიმართ. არიან ბავშვები , რომელთაც უნდათ აკადემიაში სწავლის გაგრძელება და მათ ძირითადად აინტერესებთ გრაფიკა, კომპოზიცია და ფერწერა. |                                  |                       |      |
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | სამხატვრო და სახვითი ხელოვნების განათლების უზრუნველყოფა, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისათვის.  |                                  |                       |      |

| კოდი  | ქვეპროგრამის დასახელება  | ა(ა)იპ - გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი | 2021 წლის დაფინანსება |     |
|---|--|---|-----------------------|-----|
|   |  |   | ათას ლარში            |     |
| 05 02 01 03                                     |  |   |                       | 610 |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b> |  | ა(ა)იპ - გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი |                       |     |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                      | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 7 კულტურის სახლი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 405 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე. არსებობს როგორც ვაჟთა ისე ქალთა ანსამბლები, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ველისციხის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. თეატრში იდგმება ახალი წამოდგენები, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; |   |                       |     |





თეატრალური სფეროსადმი, მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.

|   |   |
|---|---|
| <p><b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p> | <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)</p> |
|---|---|

| კოდი   | ქვეპროგრამის დასახელება | ა(ა)იპ ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი "გურჯაანი"  | 2021 წლის დაფინანსება |  |
|--|-------------------------|---|-----------------------|--|
|  |                         |   | ათას ლარში            |  |
| 05 02 01 08                                      |                         |   | 48.0                  |  |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                         | ა(ა)იპ ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი "გურჯაანი"  |                       |  |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                       |                         | ანსამბლი მონაწილეობას ღებულობს მსოფლიო ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ამიტომ ანსამბლისთვის საჭიროა ახალგაზრდა მოცეკვავეთა რაოდენობის გაზრდა, მუსიკალური ბენდის გაზრდა, ძველი ხალხური ინსტრუმენტების მოძიება შექნა, ეროვნული კოსტიუმების განახლება შექნა და ანსამბლის ტრანსპორტირება საქართველოში. უტარდება შემეცნებითი სემინარები ქართული ხალხური ძირძველი ქორეოგრაფიული ხელოვნების მოძიება განვითარებისათვის. ეწყობა შეხვედრები კახეთის ყველა კუთხეში უხუცეს ადამიანებთან, ვისაც შეეხება ჰქონიათ ძველ ქართულ ცეკვასთან, ძველი ელემენტების ამოღება განვითარებასთან დაკავშირებით. |                       |  |
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                         | ახალგაზრდობის კულტურულ-ესთეტიკური აღზრდის უზრუნველყოფა, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისათვის.   |                       |  |

| კოდი   | ქვეპროგრამის დასახელება | ა(ა)იპ ანსამბლი მრავალჟამიერი-1   | 2021 წლის დაფინანსება |  |
|--|-------------------------|---|-----------------------|--|
|  |                         |   | ათას ლარში            |  |
| 05 02 01 10                                      |                         |   | 138,0                 |  |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                         | ა(ა)იპ ანსამბლი მრავალჟამიერი-1   |                       |  |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                       |                         | ა(ა)იპ „მრავალჟამიერი-1“ დაქვემდებარებაში შედის 2 ანსამბლი: ანსამბლი „გურჯაანი“ და ლევან მულალაშვილის სახელობის ბიჭუნათა ანსამბლი. ხალხური სიმღერისა და გალობის რაიონული სკოლა, რომელიც ემსახურება ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას და მათ სწორად აღზრდას. ააიპ „მრავალჟამიერი 1“ მიზანია მოზარდი თაობის დაინტერესება ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლით. ანსამბლების ჩამოყალიბება, სწორად და ხარისხიანად სწავლება, რათა მათ შეძლონ ქვეყნის შიგნით და გარეთ ჩატარებულ ფესტივალებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა და ტრადიციული ხალხური სიმღერისა და გალობის მომავალი თაობისთვის გადაცემა და პოპულარიზაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ააიპ „მრავალჟამიერი 1“-მა ფუნქციონირება განაგრძოს, როგორც ააიპ „ფოლკლორის ცენტრი გურჯაანი“, რომლის დაქვემდებარებაში ასევე იქნება წრეები რომლებიც შეიქმნება სოფელ ველისციხეში, ვაჩნაძიანში, კარდენახში და კაჭრეთში. |                       |  |
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                         | ხალხური სიმღერის და გალობის სწავლის მსურველთა რაოდენობის გაზრდა და კარგ მომღერლად ჩამოყალიბება, ბავშვთა სწავლების დონის შეფასებით კმაყოფილი მშობლები .  |                       |  |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ა(ა)იპ საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება | 2021 წლის დაფინანსება |  |
|------|-------------------------|--|-----------------------|--|
|      |                         |  | ათას ლარში            |  |
|      |                         |  |                       |  |



|  |  |       |
|--|--|-------|
| 05 02 01 11                                      |  | 345,0 |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  | ა(ა)იპ საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება   |       |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                       | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6 მუნიციპალური მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა მუნიციპალური მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 26967 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 4234-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 141875 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 6000 მოსახლე.</p> <p>საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; <a href="http://www.libmuseum.ge">www.libmuseum.ge</a> მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;</p> <p>საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება.სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვენტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა-პატრონობა.ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა-დამუშავება.</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება .</p> <p>ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული სადამოებო, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამოებო, გურჯაანში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი სადამოებო „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.</p> |       |
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | ბიბლიოთეკა-მუზეუმების შეუფერხებელი მუშაობა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა. ა(ა)იპ-ის მთავარი მიზანია რომ დავაინტერსოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. მეტი ტურისტი გვყავდეს მუზეუმებში, რაც გაზრდის საკუთარ შემოსავლს.  |       |

| კოდი   | ქვეპროგრამის დასახელება  | სამუსიკო სკოლების განათლების ხელშეწყობა | 2021 წლის დაფინანსება |  |
|--|--|---|-----------------------|--|
|  |  |   | ათას ლარში            |  |
| 05 02 01 15                                      |  |   | 232,5                 |  |
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  | ააიპ გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანება   |   |                       |  |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა</b>                       | <p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით ააიპ გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში შედის 5 სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების და სხვა მიმართულებები. საერთო კონტიგენტი შეადგენს 315 მოსწავლეს. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 68 თანამშრომელს, ხოლო სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში დასაქმებულია 7 თანამშრომელი.</p> <p>შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ვასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p> <p>გათვალისწინებულია ქალაქში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის ჭერის რეაბილიტაცია. ააიპის საკუთარი შემოსავლებით 50,0ათ ლარი ფინანსდება მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება და საოფისე ხარჯები,</p> |   |                       |  |
| <b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> | მოსწავლეთა კლასიკური და თანამედროვე მიმართულების სამუსიკო განათლების მიღება, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისათვის.   |   |                       |  |



| კოდი                                   | პროგრამის დასახელება | ახალგაზრდობის მხარდაჭერა  | 2021 წლის დაფინანსება |
|--|----------------------|---|-----------------------|
|  |                      |   | ათას ლარში            |
| 05 03                                  |                      |   | 126,8                 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური  |                      | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.   |                       |
| პროგრამის აღწერა                       |                      | <ol style="list-style-type: none"> <li><b>რა?სად?როდის?</b> - ინტელექტუალური-შემცვენებითი თამაში რა?სად?როდის? მოიცავს 4 ტურნირს და ფინალურ შეხვედრას. რომლის მიზანია გურჯაანელი მოსწავლეების ინტელექტუალური დონის ამაღლება, წიგნიერებისა და ცოდნის წახალისება.</li> <li><b>საგანმანათლებლო კვირეული</b> - საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში სამი დღის განმავლობაში გურჯაანის მუნიციპალიტეტის ფარგლებში გაიმართება ღონისძიება. როლის მთავარი მიზანია არის ახალგაზრდობის დაინტერესება ინოვაციებით და ხელოვნური ინტელექტით. სამი დღის განმავლობაში სხვადასხვა თემებზე (არაფორმალური განათლება, ადამიანებში შესაძლებლობის აღმოჩენა, ინოვაციები, ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ტექნოლოგიები და ა.შ.) ისაუბრებენ მომხსენებლები. დამსწრე საზოგადოებას ექნება საშუალება კითხვა-პასუხის ფარგლებში გამოხატოს საკუთარი მოსაზრება. თითოეული დამსწრე გადაეცემა ბრენდირებული ბლოკნოტები, კალმები და ბეიჯები.</li> <li><b>ახალგაზრდული ფორუმი</b>- ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში ახალგაზრდები მიიღებენ ინფორმაციას ახალგაზრდული პროგრამების შესახებ, რა არის დომინანტური თემები ახალგაზრდების სამუშაო პროცესში, რა სპეციფიკა ახასიათებთ და რამდენად ახდენენ გავლენას ახალგაზრდების ცხოვრებაზე. ღონისძიება მოიცავს პრეზენტაციებს, პლენარულ დისკუსიებს, მუშაობას ჯგუფებში და საერთო დისკუსიას. ფორუმზე მოწვეულები იქნებიან არსამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდულ პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები.</li> <li><b>ახალგაზრდობისთვის ფორმალური დებატების ტექნიკის სწავლება</b> - პროექტი „ახალგაზრდობისთვის ფორმალური დებატების ტექნიკის შესწავლის“ ფარგლებში გურჯაანის ტერიტორიაზე ახალგაზრდებს ჩაუტარდება მეცადინეობები დებატების ტექნიკის სწავლებაში, რის შემდეგაც გაიმართება ტურნირები და გამოვლენილი იქნება სამი გამარჯვებული მოდებატე, სამი ფინალში გასული მოდებატე და 10 საუკეთესო მომხსენებელი.</li> <li><b>ჰაკათონი</b> - ღონისძიების ფარგლებში სადაც მონაწილეები გუნდებად იქნებიან წარმოდგენილები იმუშავენ ერთ კონკრეტულ წინასწარ შერჩეულ თემაზე რის შემდეგაც გამოცხადდება გამარჯვებული.</li> </ol> <p>2020 წელს პროექტში „არსებული ახალგაზრდობის პრობლემების იდენტიფიცირება და საპროექტო წინადადებების წარდგენა“ გამოვლენილი ახალგაზრდული პრობლემების შესახებ საპროექტო წინადადებების მხარდაჭერა</p> |                       |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი |                      | ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, ვეჭრობთ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება 18 წელს ზემოთ ახალგაზრდობის გააქტიურება მუნიციპალიტეტში.   |                       |

| კოდი                                  | პროგრამის დასახელება | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა   | 2021 წლის დაფინანსება |
|---------------------------------------|----------------------|---|-----------------------|
|                                       |                      |   | ათას ლარში            |
| 05 05                                 |                      |   | 65.0                  |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური |                      | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია   |                       |
| პროგრამის აღწერა                      |                      | <p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.</p> |                       |



|  |  |
|--|--|
| <p><b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b></p> | <p>ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;</p> |
|--|--|

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1875,5 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

### სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის, სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობაზე გაზრდის ხელშეწყობას და სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამა განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამებით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა   | 2021წლის გეგმა | 2022წლის პროექტი | 2023წლის პროექტი | 2024წლის პროექტი |
|-----------------|---|----------------|------------------|------------------|------------------|
| 06 00           | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა  | 1938,0         | 2155,5           | 2185,5           | 2185,5           |
| 06 01           | ჯანმრთელობის დაცვა  | 150,0          | 150,0            | 150,0            | 150,0            |
| 06 02           | სოციალური დაცვა   | 1725,5         | 1725,5           | 1725,5           | 1725,5           |
| 06 02 01        | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება   | 264,5          | 300,0            | 300,0            | 300,0            |
| 06 02 02        | ახალშობილთა დახმარება   | 189,0          | 165,0            | 165,0            | 165,0            |
| 06 02 03        | 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა საკვებით უზრუნველყოფა              | 12,0           | 15,0             | 15,0             | 15,0             |
| 06 02 06        | ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის თანადაფინანსება  | 11,0           | 10,0             | 10,0             | 10,0             |
| 06 02 07        | სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება   | 520,0          | 500,0            | 500,0            | 500,0            |
| 06 02 08        | მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება  | 180,0          | 180,0            | 180,0            | 180,0            |
| 06 02 09        | ა(ა)იპ-სოციალურად დაუცველ პირთა მომსახურების ორგანიზაცია "მოქალაქეთა თანადგომის" დაფინანსება      | 351,7          | 400,0            | 400,0            | 400,0            |
| 06 02 10        | ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება   | 3,0            | 11,0             | 11,0             | 11,0             |
| 06 02 11        | უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების თანადაფინანსება                                      | 1,0            | 1,5              | 1,5              | 1,5              |
| 06 02 12        | უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირის თანადაფინანსება | 40,0           | 40,0             | 40,0             | 40,0             |
| 06 02 13        | უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება      | 39,0           | 60,0             | 60,0             | 60,0             |



|          |   |      |      |      |      |
|----------|---|------|------|------|------|
| 06 02 14 | 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარება                              | 1,0  | 1,0  | 1,0  | 1,0  |
| 06 02 15 | ერთჯერადი (ფულადი) სოციალური დახმარება                                  | 14,5 | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| 06 02 16 | ელექტროენერჯის საფასურის თანაგადახდა                                    | 21,9 | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| 06 02 17 | სატრანსპორტო ხარჯის თანადაფინანსება                                     | 35,0 | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| 06 02 18 | შპმ პირთა დახმარება   | 31,4 | 10,0 | 10,0 | 10,0 |
| 06 02 19 | უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის სწავლის საფასურის თანადაფინანსება       | 10,0 | 12,0 | 12,0 | 12,0 |
| 06 03    | მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო | 63,0 | 120  | 150  | 150  |

| კოდი  | პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა   | 2021 წლის დაფინანსება |  |  |
|---|----------------------|---|-----------------------|--|--|
|   |                      |   | ათას ლარში            |  |  |
| 06 01   |                      |   | 150.0                 |  |  |
| <b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>  |                      | ა.ა.ი.პ გურჯაანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური  |                       |  |  |
| <b>პროგრამის აღწერა</b>                       |                      | <p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სადამზრდელო და საგანმანათლებლო-სადამზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სადამზრდელო და საგანმანათლებლო-სადამზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებულებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</li> <li>2 იმუნიზაცია.</li> <li>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</li> <li>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</li> </ol> |                       |  |  |
| <b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b> |                      | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება   |                       |  |  |



| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|---|-----------------------------------|----------------------------------|
|                                | 06 02 01  |                                   | 264,5                            |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |                                   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის მიზანია მძიმე სოციალური ფონის გამო მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და წახალისება. ქვეპროგრამის მოსარგებლე სამიზნე ჯგუფია გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრებ მრავალშვილიანი ოჯახი, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი. დახმარება გაიცემა მე-4 და ყოველ შემდეგ ბავშვზე თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახებზე დახმარება გაიცემა განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვზე დახმარება ოჯახს შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს არასრულწლოვანი ბავშვი, თუ ის იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე.</p> |                                   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | ფულადი დახმარების გაცემა და მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 2021 წლისთვის 170 ოჯახი.  |                                   |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | ახალშობილთა დახმარება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|---|-----------------------|----------------------------------|
|                                | 06 02 02  |                       | 189,0                            |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |                       |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ქვეპროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების დახმარება ერთ ახალშობილზე 300 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 1 წლამდე ასაკის ბავშვზე, რომლის ოჯახიც ფაქტობრივად ცხოვრობს ამავე მუნიციპალიტეტში.</p> |                       |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | ახალშობილთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.  |                       |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა საკვებით უზრუნველყოფა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|--|----------------------------------|
|                                | 06 02 03   |  | 12,0                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის მიზანია გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი საკვების მიწოდება.</p> <p>ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი და დახმარების ოდენობა:</p> <p>ა) ერთი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვი, რომლის ოჯახი პროგრამაში ჩართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართვის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა და გაიცემა ყოველთვიურად თნხა 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე</p> <p>ბ) ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულითა დახმარების ოდენობა განსაზღვრულია წლიური 3000 ლარით.</p> |  |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა.   |  |                                  |



|                                |  |   |                                     |
|--------------------------------|--|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | <b>ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის თანადაფინანსება</b> | 2021 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                | 06 02 06   |   | <b>11,0</b>                         |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |   |                                     |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | პროგრამის მიზანია მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა. პროგრამით მოსრგებლები: დაუნის სინდრომის, 0 - 7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის თანადაფინანსება სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე წლიური ლიმიტი 500 ლარის ოდენობით იქნება განსაზღვრული. |   |                                     |
| მოსალოდნელი შედეგი             | ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.  |   |                                     |

|                                |  |  |                                     |
|--------------------------------|--|--|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | <b>სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება</b> | 2021 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                | 06 02 07   |  | <b>520,0</b>                        |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |  |                                     |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>მიზანი: მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე (სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა, გამიკვლევები) ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება.</p> <p>1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების (გარდა ონკოლოგიური დაავადებების) თანადაფინანსების სამიზნე ჯგუფები და დაფინანსების წესი:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელია გურჯაანის მუნიციპალიტეტი მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, ბენეფიციარებზე გასაცემი თანხა შეადგენს სამედიცინო მომსახურების ღირებულების 50%-ს, არაუმეტეს 500 ლარის;</p> <p>ბ) მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ვეტერანი; ბენეფიციარებზე გასაცემი თანხა შეადგენს სამედიცინო მომსახურების ღირებულების 50%-ს, არაუმეტეს 500 ლარის;</p> <p>გ) ბენეფიციარები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ა და ბ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს, მათზე სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის გაიცემა 500 ლარამდე .</p> |  |                                     |
| მოსალოდნელი შედეგი             | პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.   |  |                                     |

|                                |   |   |                                     |
|--------------------------------|---|---|-------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | <b>მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება</b> | 2021 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                | 06 02 08  |   | <b>180,0</b>                        |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |   |                                     |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის მიზანია მედიკამენტების შეძენაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p> <p>1. მოქალაქეთა მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსების წესი:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 100 000-ზე ნაკლები ქულის მქონე პირის და მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილის მედიკამენტების თანადაფინანსება განხორციელდება</p> |   |                                     |



|                               |   |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მედიკამენტების ღირებულების 50%-ით არაუმეტეს 100 ლარისა წელიწადში ერთხელ.<br/>         ბ) გაფანტული სკლეროზით, მიათენიით დაავადებულთა სამკურნალო მედიკამენტების, 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთა ანტიკონვულსანტების (გარდა სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მედიკამენტი) თანადაფინანსება მოხდება წლიური ლიმიტი 600 ლარი</p> <p>გ) A-ტიპის დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ჩხირების თანადაფინანსება მოხდება წლიური ლიმიტი 600 ლარის ფარგლებში,<br/>         დ) მკვეთრად გამოხატული შშმ სტუდენტის მედიკამენტის თანადაფინანსება წლიური ლიმიტი 1000 ლარი</p> <p>3.ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება მოხდება წლიური ლიმიტი 300 ლარის ფარგლებში.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი            | გაზრდილია მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.   |

|                                |   |   |                                  |
|--------------------------------|---|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | ა(ა)იპ სოციალურ დაუცველ პირთა მომსახურების ორგანიზაცია „მოქალაქეთა თანადგომა“ | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 09  |   | 351,7                            |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ბურჯანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 120 000- მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებისთვის და ხანდაზმულთა საკვებზე ხელმისაწვდომობი გაზრდა.<br/>         ბენეფიციართა უფასო კვება მოხდება უფასო სასადილოში კვირაში ექვსი დღე დღეში ერთხელ. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ა( ა) იპ „მოქალაქეთა თანადგომა“.</p> |   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | სოციალური ფენის კმაყოფილება.  |   |                                  |

|                                |  |  |                                  |
|--------------------------------|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 10   |  | 3,0                              |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ბურჯანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის მიზანია ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარება 1.<br/>         საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (სამაჩაბლო-აფხაზეთი) ბრძოლებში გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით;<br/>         2.მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (სამაჩაბლო-აფხაზეთი) ბრძოლების მონაწილე გარდაცვლილთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით, ყოველი გარდაცვლილის ოჯახზე გაიცემა ფინანსური დახმარება ერთჯერადად 250 ლარის ოდენობით. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ.</p> |  |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების პატივგება.   |  |                                  |

|                         |          |   |                                  |
|-------------------------|----------|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი     | უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                         | 06 02 11 |   | 1,0                              |





|                                |   |
|--------------------------------|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | გურჯაანის მუნიციპალიტეტში უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა - 250 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. |
| მოსალოდნელი შედეგი             | უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება.   |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირის თანადაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|---|----------------------------------|
|                                | 06 02 12   |   | 40,0                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>მიზანი: უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.</p> <p>სამიზნე ჯგუფები: გურჯაანის მუნიციპალიტეტში არანაკლებ ბოლო ორი წლის განმავლობაში ფაქტობრივად მცხოვრებ უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა – საცხოვრებელი ფართის ქირა 100 ლარის ოდენობით გაიცემა:</p> <p>ა) თუ ოჯახს არ გააჩნია მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი და ოჯახი შედგება მხოლოდ ერთი მშობლისა და 18 წლამდე ასაკის ერთი ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვისაგან;</p> <p>ბ) თუ ოჯახს არ გააჩნია მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი და ოჯახი შედგება ორივე მშობლისა და 18 წლამდე ასაკის ერთი ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვისაგან და ერთ-ერთი მშობელი არის შეზღუდული კმედუნარიანობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი (პირი, რომელსაც ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად);</p> <p>გ) თუ ოჯახს აქვს საცხოვრებლად უვარგისი ბინა, რომელშიც ცხოვრებაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაც უნდა დადგინდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის (კომისიის) მიერ;</p> <p>დ) თუ მრავალშვილიანია;</p> <p>ე) თუ ძალადობის მსხვერპლია;</p> <p>ვ) თუ სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში გასული 18-21 წლის ასაკის ახალგაზრდა.</p> |   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა და პირობების გაუჯობესება.   |   |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|---|--|----------------------------------|
|                                | 06 02 13  |  | 39,0                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>მიზანი: სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურების გზით საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ერთჯერად არაუმეტეს 5 000 ლარის ფულად დახმარებას მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნის შესაბამისად ერთჯერადად</p> |  |                                  |



|                    |                                     |  |
|--------------------|-------------------------------------|--|
| მოსალოდნელი შედეგი | საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება |  |
|--------------------|-------------------------------------|--|

|                                |   |   |                                  |
|--------------------------------|---|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | <b>100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარება</b> | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 14  |   | <b>1,0</b>                       |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს - 1 ოქტომბერს) |   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | ხანდაზმულთათვის საჩუქრის გადაცემა   |   |                                  |

|                                |  |  |                                  |
|--------------------------------|--|--|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | <b>ერთჯერადი (ფულადი) სოციალური დახმარების</b> | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 15   |  | <b>14,5</b>                      |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |  |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. სამიზნე ჯგუფი: გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 65 000-დან 100 000-მდე გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 50 ლარის ოდენობით კომუნალური გადასახადის (ელექტროენერჯის ან გაზის გადასახადის) თანადაფინანსების მიზნით. |  |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა   |  |                                  |

|                                |  |   |                                  |
|--------------------------------|--|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | <b>ელექტროენერჯის საფასურის თანაგადახდა</b> | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 16   |   | <b>21,9</b>                      |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>მიზანია პროგრამით მოსარგებლე პირთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება. სამიზნე ჯგუფები და დახმარების გაცემის წეს: მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები -</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მარჩენალდაკარგული ოჯახის დახმარება, სადაც არის 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ელექტროენერჯის გადასახადის დაფინანსების მიზნით – 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, ხოლო 2 და მეტ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით;</li> <li>2. მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ელექტროენერჯის გადასახადის დაფინანსების მიზნით – 1 ბავშვზე 10 ლარის ოდენობით, ხოლო 2 და მეტ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით;</li> </ol> |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  |  |   |                                  |



|                    |  |
|--------------------|--|
| აღწერა და მიზანი   | <p>3. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წელამდე ასაკის) და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების დახმარება ელექტროენერჯის გადასახადის დაფინანსების მიზნით – თვეში 10 ლარის ოდენობით;</p> <p>4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში მონაწილე შშმ პირების - თვეში 10 ლარის ოდენობით</p> <p>5. რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახები - 10 ლარის ოდენობით.</p> <p>ანაზღაურდება აბონენტის ნომრის მიხედვით. ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება მოქალაქის (ბენეფიციარის) განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ენერჯო-პროჯორჯიას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერი (ქვითარი), სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.</p> <p style="text-align: right;">თანხა</p> |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე პირთა საყოფაცხოვრებო ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.   |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | სატრანსპორტო ხარჯის თანადაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|---|-------------------------------------|----------------------------------|
|                                | 06 02 17  |                                     |                                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |                                     |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა, დაუნის სინდრომის, 0 - 7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯის თანადაფინანსება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოსარგებლეა 80 ბენეფიციარი</p> |                                     |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.  |                                     |                                  |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | შშმ პირთა დახმარება | 2021 წლის დაფინ. ათას ლარში |
|--------------------------------|--|---------------------|-----------------------------|
|                                | 06 02 18   |                     |                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური  |                     |                             |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტიურად მცხოვრები მკვეთრად შეზღუდული გადაადგილების მქონე შშმ პირთა მოვლის საშუალებების (პამპერსი, სველი ხელსახოცი) თანადაფინანსება მოხდება წელიწადში 4-ჯერ ერთჯერადად არაუმეტეს 150 ლარი სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.</p> <p>2. შშმ სპორტსმენის აბილიტაციისთვის ტრანსპორტის ხარჯის თანადაფინანსება თვეში 100 ლარი.</p> <p>3. 100 000 -ზე მეტი სარეიტინგო ქულის მქონე „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლისთვის ვაუჩერის თანადაფინანსება ყოველთვიურად (სახელმწიფო ვაუჩერის ღირებულების 20 %)</p> <p>4. მკვეთრად გამოხატული შშმ სტუდენტის რეაბილიტაციის თანადაფინანსება - წლიური ლიმიტი 1 000 ლარი.</p> <p>5. უსინათლოთათვის ხმოვანი აპარატის შექმნა</p> |                     |                             |
| მოსალოდნელი შედეგი             | შშმ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მატერიალური მხარდაჭერა.   |                     |                             |



|                                |   |   |                                  |
|--------------------------------|---|---|----------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | უმადლესი სასწავლებლის სტუდენტის სწავლის საფასურის თანადაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 19  |   | 10,0                             |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური   |   |                                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა მათი შემდგომი დასაქმების მიზნით. პროგრამის მოსარგებლები:</p> <p>1.სოციალურად დაუცველი ოჯახების (ოჯახის სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-მდე ) ობოლი სტუდენტი ,</p> <p>2. მკვეთრად გამოხატული შშმ სტუდენტი</p> <p>3.სახელმწიფო ზრუნვიდან გასული 18 წლის სტუდენტის სწავლების თანადაფინანსება შეადგენს წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარს.</p> |   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი             | ახალგაზრდებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა.   |   |                                  |

|                             |   |   |                                  |
|-----------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 06 03   |   | 63,0                             |
| პროგრამის განმახორციელებელი | აიპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო   |   |                                  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დასახლებებში ბინადარი უპატრონო-მიუსაფარი შინაური ცხოველების პოპულაციების მართვა, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით. მიუსაფარი შინაური ცხოველების დაჭრა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით. მათზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება. საჭიროების შემთხვევაში სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება, გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, შემდგომი მოვლა-პატრონობის კონტროლი. დამხმარე, არამძირითადი საქმიანობის სახით სხვადასხვა შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული კერძო პირებისთვის მომსახურების გაწევა შესაბამისი საფასურით.</p> <p><b>მიზანი</b> - ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა.</p> |   |                                  |
| მოსალოდნელი შედეგი          | ადამიანისა და შინაური ცხოველების თანარსებობისათვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.  |   |                                  |

**მუხლი 18. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)**

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს,

| პროგრამული კოდი | დასახელება  | რიცხოვნობა | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024წელი |
|-----------------|---|------------|-----------|-----------|-----------|----------|
|                 |   |            |           |           |           |          |
| 01 00           | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები              |            | 4200,0    | 4252,9    | 4120,6    | 4098,1   |
| 01 01           | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 206        | 3947,4    | 3912,5    | 3990,3    | 3990,5   |
| 01 01 01        | გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო                     | 36         | 824,0     | 824,1     | 770,0     | 770,0    |



|          |  |     |        |        |        |        |
|----------|--|-----|--------|--------|--------|--------|
| 01 01 02 | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია                          | 160 | 3002,4 | 2988,2 | 3100,0 | 3100,0 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური                | 10  | 121,0  | 120,3  | 120,3  | 120,5  |
| 01 02    | საერთო დანიშნულების ხარჯები                              |     | 240,0  | 230,0  | 72,7   | 50,0   |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი  |     | 100,0  | 50,0   | 50,0   | 50,0   |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის მ.გ.ფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა |     | 140,0  | 155,0  | 22,7   | 0      |
| 01 04    | ადმინისტრაციული შენობების დაცვის მომსახურება             |     | 57,6   | 57,6   | 57,6   | 57,6   |

| კოდი                                   | პროგრამის დასახელება   | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 2021 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|---|----------------------------------|
| 010203                                 |  |   | 140,0                            |
| პროგრამის აღწერა                       | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. |   |                                  |
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება   |   |                                  |

### თავი III

## გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

### მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება               | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის ფაქტი |                      |                             | 2021 წლის გეგმა |                      |                             |
|-----------------|--------------------------|-----------------|-----------------|----------------------|-----------------------------|-----------------|----------------------|-----------------------------|
